№ 99

კვირა, 6 მაისი, 1901 წ.

1877—1901

ივერია

№ 99

კვირა, 6 მაისი, 1901 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . . .	10—	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
10 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

სახალხო სეირნობა

საქველ-მოქმედო ბაზრითურთ.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" მიერ განზრახული სახალხო სეირნობა საქველ-მოქმედო ბაზრითურთ გაიმართება 20 და 21 მაისს. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისთვის შეიძლება კნ. ოლღა თადეოზის ასულ ჭავჭავაძისთან, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინოვისა, № 21 და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში, სასახლის ქუჩაზედ, თავად აზნაურთა ქარვასლაში.

ქ. ქუთაისი.

ხუთშაბათს, 10 მაისს, ქალაქის თეატრში დანიშნულია

კონცერტი
კ. ფ. ბურამიშვილისა

ბ ნ აკიმოვის (სკრიპკა) მონაწილეობით. დაწვრილებითი ცნობები აფიშებში.

(2—120—1)

ტელეფონი № 741.

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდ მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

ამხანაგობის განყოფილება სასახლის ქუჩაზეა, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т-во Фармацевтовъ—провизору Алхазову.

(100—43—20)

ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ „Фармацевтика".

კავკასიის მომავალ გამოფენაზედ **ბეჭდვითი საქმის პავილიონის** მომწყობი კომისია იწვევს იმათ, ვისაც ჰსურთ გამოჰფინონ ნაწარმოები ხსენებულს პავილიონში, 20 მაისამდე გამოაცხადონ თავისი სურვილი და ამასთანავე აღნიშნონ რამდენი ოთხ-კუთხი არშინი დასჭირდებათ ექსპონატებისათვის. ფასი ოთხ-კუთხი არშინისა 5 მან.-დგან 10 მან.-მდეა. განცხადებასთან ერთად უნდა წარმოდგენილ იქმნას ბედ 3 მან. ყოველ ოთხ-კუთხ არშინში. ექსპონენტებად შეუძლიანთ იყვნენ კავკასიის ა) დრო-გამოშვებითი გამოცემანი, ბ) წიგნების მაღაზიები და გამომცემელნი, გ) სტამბები, ლიტოგრაფიები, ფოტოგრაფიები და სხვა ამგვარი დაწესებულებანი, რომელთაც კავშირი აქვთ ბეჭდვით საქმესთან.

განცხადებანი უნდა გამოიგზავნოს ტფილისში კომისიის მდივნის, ი. მ. დოლუხანოვის სახელზედ (განოვის ქუჩა., № 17). პირისპირ მოლაპარაკება მდივანთან შეიძლება ყოველდღე, საღამოს 5 საათიდგან 6-მდე, გარდა კვირა-უქმე დღეებისა. ტელეფონის № 678. ბეჭდვითი საქმის პავილიონში იქნება უფასო სამკითხველო და პრესის წარმომადგენელთათვის სამუშაო ოთახი. (3—უ.—1)

შავი ქვის მწარმოებელთა კრების საბჭო აცხადებს, რომ 1901 წლის 11 მაისს, დღის 12 საათზედ, ქუთაისში, საბჭოს სადგომში,

საჯარო ვაჭრობა მოხდება,

რომელზედაც იჯარით გაიცემა დ. ჭიათურაში წირ-კვალის სამრეწველო გზაზედ სამის ხიდის გაკეთების საქმე, სამუშაო 2648 მანეთისა და 16 კაპეიკისა. ვაჭრობის მსურველთ უნდა წარადგინონ ვაჭრობის დაწყებამდის გირაო ფულად ანუ სარგებლიან ქაღალდებით ათი პროცენტი საიჯარო თანხისა. საჯარო ვაჭრობის შედეგი საბჭომ უნდა დაამტკიცოს. ხარჯთ-აღრიცხვის გეგმისა და პირობების ნახვა ყოველ დღე შეიძლება საბჭოს სადგომში. (3—6—1)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. ე. ჩიქოვანი. 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაგანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ქ. ი. ზძელიშვილი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 საათ. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

ზ. ა. თარხანოვი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს. აუცრის ყვავილს კვირაობით—9—10 საათ.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Ворoцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეებს გარდა

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12-მდის.

ა. ნ. მატილოვი—თვალისა 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი, საქირურგო.—12½—1½ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

გადავიდა საკუთარ სახლში

ყორღანოვის ქუჩა, № 16.

ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 6—7 ს.

(10—6—1)

შემოწირულება

„ქ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ განზრახულ ბაზრობას შემოსწირეს:

კნ. ეკატერინე ალექსანდრეს ასულმა ერისთავისამ—სამი ნივთი; დარია ალექსანდრეს ასულმა ჩერქეზიშვილისამ—ერთი ნივთი; მიხეილ ალექსანდრეს ძე გედევანიშვილმა—სტაქანი ჩასადებ ჭურჭლით; მ. გაგრიევისამ—2 სურათი, 2 ჩარჩო და 2 ფლაკონი; გ. ს. ნავთიკოვმა—ერთი შლიაპა, 2 ყელ-სახვევი, 2 ბურთი, 2 მარაო, 1 წყვილი ხელთათმანი, 1 წინ-ასაფარებელი, 3 ინგლ. ქინძისთავი.

ახალი ამბავი

⁂ 4 მაისის საღამო ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებამ არჩევნებს მოანდომა. თავად-აზნაურთა ქონების გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ერთხმად თავ. ივ. ს. ჭავჭავაძე, წევრებად: თავ. ივ. გ. ბარათაშვილი (ამოუვიდა 48 თეთრი კენჭი და 7 შავი), თავ. იოს. ა. ბარათაშვილი (46 თეთრი და 7 შავი), გ. დ. გაბაშვილი (42—12) და ი. გ. თულაშვილი (49—5), რომელიც ამავე თავმჯდომარის მოადგილეცაა. ზედამხედველ კომიტეტში არჩეულ იქმნენ: თავ. ლ. გ. ჯანდიერი (48—5), თავ. ნ. პ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი (50—4) და ზ. გ. ჭავჭავაძე (49—5). ამითი დასრულდა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება.

⁂ კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწის ა. ა. ფრეზეს თავმჯდომარეობით მომავალ კვირაში დაიწყება სხდომები ამიერ-კავკასიის გუბერნატორებისა სხვა-და-სხვა საქმეების განსახილველად. ამ ჟამად ტფილისში უკვე ჩამოვიდნენ ბაქოსა, ერევნისა, ყარსისა, დაღესტნის ოლქისა და განჯის გუბერნატორები და ზაქათალის ოლქის უფროსი.

⁂ ორშაბათს, 8 მაისს, ტფილისის ქალაქის საბჭოს მორიგ კრებაზე განსახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები: დადგენილება ქალაქის გამგეობისა იმის შესახებ, რომ ციციშვილის აღმართზედ ხალხის ასაყვან ჩამოსაყვან მანქანის გამართვის ნება მიეცეთ ძმ. არზუმანოვებს; დებულება ძმათა ამიროვების სახელობის სტიპენდიების შესახებ მოსკოვის უნივერსიტეტში; თხოვნა თ. ნერინგისა იმის შესახებ, რომ პასუხის გებაში იქმნას მიცემული ქალაქის გამგეობა; შუამდგომლობა ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიისა ნ. ბარხუდაროვისთვის პენსიის დანიშვნის შესახებ; განცხადება სამთო ინჟენერების ბრაილოვსკის და ხატისოვისა, ნება მიეცეთ სოლოლაკის გორის ქვეშ ტუნელის გაყვანისა; არჩევანი ქალაქის სამხედრო საკრებულოს ორის წევრისა, სავალდებულო დადგენილებანი ქალაქის საყასბოს შენახვის შესახებ და სხვანი. სულ განსახილველად აქვს საბჭოს 19 საქმე.

⁂ სამშაბათს, 8 მაისს, დიდუბეში, ცხენების საჯირითო მოედანზე, კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი დაათვალიერებს ტფილისში მყოფ ჯარს.

⁂ 3 მაისს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გამმართველს კომიტეტს დაუდგენია დაუთმოს ბეჭდვითის სიტყვის პავილიონის გასამართავად 50 ოთხ-კუთხი საჟენი მიწა. გარდა ამისა, ამავე სხდომაზედ გამმართველს კომიტეტს გაუნაწილებია გამოფენის გასამართავად გადადებული თანხა 18,000 მან. ამ რიგად: მიწად-მოქმედების განყოფილებას—1,200 მან., მეღვინეობა-მევენახეობისას—1,450 მან., თესლებისა და ნერგების განყოფილებას—1,100 მან., მებოსტნეობისა და ხილეულობისა—1,800 მან., ტყის მოშენებისა—1,300 მან., შინა და სახელოსნო მრეწველობისა—1,000 მან., სამთო განყოფილებას—800 მან., სამეცნიერო-სასტატისტიკო-სამოსწავლო განყოფილებას—1,700 მან., სამხატვრო განყოფილებას—700 მან.

⁂ ბავშვთათვის სამზრუნველო საზოგადოების გამგეობას უთხოვნია ქალაქის გამგეობისათვის ნება დართოს ალექსანდრეს ბაღში სახალხო სეირნობის გამართვისა საზოგადოების ფონდის გასაძლიერებლად.

⁂ როგორც შევიტყეთ, ბ-ნ ს. ესაძეს განუზრახავს გამოსცეს რუსულად კრებული, რომელშიაც მოთავსებული იქმნება რუს მწერალთა, პოეტთა და პუბლიცისტთა წერილები საქართველოს შესახებ.

⁂ კვირას, 13 მაისს, დილის 11 საათზედ ტფილისის ნაფიც ვექილთა და მათ თანაშემწეთა კრება მოხდება „ტფილისის ოლქის სასამართლოსთან არსებულ ნაფიც ვექილთა კომისიის" 1900 წლის ან-

გარიშის განსახილველად და თავმჯდომარისა, მისის ამხანაგისა და კომისიის წევრთა ამოსარჩევად.

⁂ გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოს განუხილავს ქალაქ ტფილისის 1901 წლის ხარჯთ აღრიცხვა და შეუცვლელად დაუმტკიცებია.

⁂ გუშინ, ნაშუადღევის პირველ საათზედ, ტფილისში ცა უეცრად მოიღრუბლა და კოკისპირული წვიმა წამოვიდა. წვიმას მალე სეტყვაც მოჰყვა. სეტყვა 10 წუთს მოდიოდა.

⁂ ტფილისის გუბერნატორს დაუმტკიცებია ქალაქის საბჭოს 19 მარტის დადგენილება მომავალ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში ქალაქ ტფილისის პავილიონის გამართვის შესახებ.

⁂ ტფილისის გუბერნატორმა დაავალა ქალაქის მოურავს დაიჩქაროს იმის წინადადების შესრულება ტფილისში სამრეწველო სასწავლებლის დაარსების შესახებ.

⁂ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გამმართველ კომიტეტს უთხოვნია კავკასიაში მყოფ უცხო სახელმწიფოთა ელჩებისათვის სთხოვონ თავიანთ მთავრობებს მომავალ გამოფენაში მონაწილეობა მიიღონ.

⁂ ხმოსანს თავ. ბებუთოვს ქალაქის გამგეობისათვის მოხსენება წარუდგენია საზოგადო სასაფლაოსათვის ქალაქის მიწის დათმობის შესახებ.

⁂ ქ. ფოთი. სამასოდ ფოთელებს კარგი დარი არ დაუდგათ. აპრილის უკანასკნელმა რიცხვებმა მეტად ცუდი ამინდები დაიჭირა, მაგრამ 1-ლი მაისისათვის, ბურთაობისათვის, ბუნებამაც პატივი დაგვდო და გამოიდარა. გავარდა ბურთი ჩვეულებრივად და მობურთავენი ორ გუნდად გაიყვნენ. პირველად მკვირცხლად შეუტიეს გურულებმა და ბურთი გააქანეს, მაგრამ სანამ ლელოს გაიტანდნენ, მეგრელებმა მედგრად შემოუტიეს გურულებსა და იერიშით ბურთი ლელოზედ მიიტანეს. გამარჯვებულმა მეგრელებმა ხის ტოტები დაამტვრიეს და ასე სიმღერით დაიშალნენ.

2 მაისს, ქალაქის ბაღში, ქ-ნ ა. ვ. მიქაბერიძის თაოსნობით, ადგილობრივის დედათა სკოლის სასარგებლოდ გამართულ იქმნა სახალხო სეირნობა საქველ-მოქმედო ბაზრითურთ. ამ დღეს მოსეირნე ხალხისათვის გასართობად მოწვეულნი იყვნენ ცირკში მოთამაშენი, რომელთაც საზოგადოება ბევრი აცინეს. ბაღშივე გამართული იყო მშვენიერი ბუფეტი, სადაც მსურველნი იღხენდნენ და შექცეოდნენ. სეირნობას ხალხი ბევრი დაესწრო.

⁂ გამოვიდა და დაურიგდა ხელის-მომწერლებს მე-IV ნომერი ჟურნალ „ჯეჯილისა“, შემდეგის შინაარსით: 1) „ქრისტე აღდგა“ ლექსი—ბაჩანასი; 2) „ობოლი“ მოთხრობა—დ. თომაშვილისა; 3) „პატარა მათხოვარი“ (თარგმანი)—ნ. ყიფიანისა; 4) „დიკიის მკვიდრნი“ (ოვიდიუსიდგან)—ა. ყუმისთაველისა; 5) „გაზაფხული და საპყრობილე“ (ლექსი)—დუტუ-მეგრელისა; 6) „ძაღლი და კატა“—კახ-იმერლისა; 7) „დედი ჯან“ მოთხრობა, გაგრძელება (თარგმანი)—ე. წერეთლისა; 8) „მოსწრებული პასუხი“—ბეს. ვაშაძისა; 9) „ორი შვილი“ (ლეგენდა)—ირაკლი წ—ლისა; 10) წვრილმანი: აკროსტიხი, ანდაზები, ჩქარა გამოსათქმელი, გამოცანები და სხვ.

⁂ აზნაურს ივანე იმნაძეს უმართებულეს სენატში საჩივარი შეუტანია ქალაქის გამგეობაზედ, რომელმაც არ დართო მას საკუთარს მიწაზედ სახლის აგების ნება, რადგანაც ეს მიწა ქუჩისათვისაა საჭირო. უმართებულეს სენატსა შეუწყნარებია ბ-ნ იმნაძის საჩივარი და განუმარტავს, რომ ქალაქს შეუძლიან მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრას ქუჩის გასაფართოებლად საჭირო მიწის დათმობის შესახებაო.

⁂ როგორც კარაკლისიდგან გვატყობინებენ, 4 მაისს მე-130 ვერსზედ კლდის ზვავი ჩამოწოლილა. მატარებლების მიმოსვლა შაგალსა და კარაკლის შუა დროებით შეწყვეტილა. ლიანდაგი გუშინ საღამოსთვის უნდა გაეწმინდათ.

⁂ 4 მაისს ტფილისის ქალაქის თვითმართველობის 50 მოსამსახურეს ქალაქის გამგეობასთან არსებულ შემნახველ-გამსესხებელ კასის გამგეობისათვის თხოვნა მიუცია კასის წევრებად მიგვიღეთო.

⁂ როგორც ქობულეთის სადგურიდგან გვატყობინებენ, 4 მაისს, ღამით, ქობულეთსა და ჩაქვას შორის მიმავალ მატარებლის № 162 ერთის ვაგონიდგან მოუპარავთ ბარგი სამხედრო უწყებისა. ეს ბარგი, ჩექმები, წონით 10 ფუთი 28 გირვანქა მერე უნახავთ ვაგონიდგან გადაგდებული.

კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება

4 მაისი

პარასკევს, 4 მაისს, მოხდა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება ვიცე-პრეზიდენტის უგანათ. თავ. პ. ა. გრუზინსკის თავმჯდომარეობით. კრებამ მთელი საღამო მოანდომა საბაღოსნო სკოლის სამეურნეო კომისიის მოხსენების განხილვას საბაღოსნო სკოლის ყოფილ მართველის ბ-ნ პრიტულენკოს მოქმედების შესახებ. აღნიშნულ კომისიის ერთმა წევრმა წაიკითხა ვრცელი სარევიზიო მოხსენება. რიგორც ამ მოხსენებიდგან სჩანს, საბაღოსნო სკოლაში უწესობის გამომწვევი და იმის უკიდურეს მდგომარეობაში ჩამყენებელი ყოფილა ამ სკოლის ყოფილი გამგე პრიტულენკო. მოხსენებაში ნათქვამია, რომ პრიტულენკო სკოლის შემოსავალ გასავლის წიგნებს კარგად არ აწარმოებდა, სამეურნეო კომისიის დადგენილებას ყურადღებას არ აქცევდა და საზოგადოდ თავის ნებაზედ იქცეოდაო. იმ დროს, როდესაც მოსწავლეებს საცვლები არა ჰქონიათ, პრიტულენკოს 360 მან. საბაღოსნო სკოლაში მცენარეთა სათბურ სადგომის ასაგებად მოუხმარებია. მოსწავლეებისათვის 16 მან. უსესხებია სოფელში წასასვლელად, 70 მან. მიუღია ერთის მოსწავლისაგან სწავლის ფასად და ამ ფულის გამამართლებელი საბუთები არა სჩანს; საზოგადოების საბჭოს გარდაწყვეტილებით ჯამაგირად 150 მან. უნდა მიეღო, მას კი 190 მან. მიუღია. საბაღოსნო ბაღის შემოსავალში მხოლოდ 4 მანეთია ნაჩვენები და სხვა. სულ, კომისიის ანგარიშით, პრიტულენკოს უწესოდ დაუხარჯია საზოგადოების ფული 447 მან. 89 კაპ. მოხსენებაში ნათქვამია კიდევ, რომ პრიტულენკოს აქამდე არ წარმოუდგენია ეს ფული, თუმცა რამდენჯერმე ვსთხოვეთო. ამიტომ რამე ღონე უნდა ვიღონოთ და ფული გადავახდევინოთო. სკოლის მზრუნველსაც ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევია სკოლის საქმეებისათვის.

კომისიის მოხსენებამ მეტად ცხარე კამათი გამოიწვია. მზრუნველმა ფიგუროვსკიმ მოინდომა გამართლება და სთქვა, რაც სამეურნეო საზოგადოებამ სკოლის სამეურნეო კომისია ამოირჩია, მე მზრუნველის უფლებანი ჩამომერთვა, თვით კომისიამ ჯეროვანად საქმეს ყური ვერ უგდო, მე, როგორც წევრს, სხდომაზედ არ მიწვევდა, მაშინ, როდესაც ბავშვები შიშვლები იყვნენ, კომისიის ერთს წევრს სამ კვირას ჰქონდა სახლში საცვლების ნიმუშები განსახილველადაო. ბ-ნმა ევანგულოვმა უპასუხა, რომ ეგ ცილის დაწამებაა, ტყუილია, რადგანაც, ჯერ ერთი, არ ვიცოდით, თუ აგრე საჭირო იყო საცვლები და მერე, 3 კვირა-კი არა, მხოლოდ ორი დღე მქონდაო. ბ-ნმა ალიბეგოვმა, მიაქცია-რა ყურადღება პრიტულენკოსაგან წინასწარ განზრახვით სკოლის ფულის ხარჯვას, განაცხადა, რომ ეხლავე მოვთხოვოთ გადახდა კომისიისაგან ნაჩვენებ 447 მან.; წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლოს უნდა მივმართოთო. სკოლის მზრუნველის მოქმედების გამო მოითხოვა, რომ მას საყვედური გამოეცხადოსო.

კამათმა ნაშუაღამევის 12 საათამდე გასტანა. თავმჯდომარემ საქმე გამორკვეულად სცნო და შემდეგის საკითხის გადაწყვეტა სთხოვა კრებას: პრიტულენკოს რამდენი უნდა გამოერთვას: 284 მანეთი, რაც სამეურნეო საზოგადოების საბჭომ გამოიანგარიშა, თუ კომისიის მიერ ნაანგარიშევი 447 მან. და 89 კაპ. კრებამ ხმის უმეტესობით გარდასწყვიტა—გარდაჰხდეს პრიტულენკოს 284 მან. და თუ ნებით არ გარდაიხდის, სასამართლოში იქმნას საქმე აღძრული. კრებას სხვა საგნებიც ჰქონდა განსახილველი, მაგრამ, რადგანაც უკვე გვიან იყო, სხვა დროისათვის გადახდა.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ს. წიფნაგვარა, (გურია) შაბათს, 21-ს აპრილს, ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოსის ნებართვით არქიმანდრიტმა არ. კალანდაძემ, ბლაღ. მღვ. დ. ჩხაიძემ და ადგილობრივმა მღვდლებმა ს. წიფნაგვარას ეკკლესია აკურთხეს! წირვასა და ეკკლესიის კურთხევას საზოგადოება ბლომად დაესწრო, რომელთაგანაც თვითოეულმა შეძლების დაგვარი შემწეობა აღმოუჩინა ს. წიფნაგვარის მცხოვრებლებს. ეს სოფელი წირვა-ლოცვასა და საიდუმლოების მიღებას დღემდის მოკლებული იყო; დღეს როგორც იყო ეღირსნენ ეკკლესიასა, მაგრამ ქონებრივად კი გაღატაკდნენ, რადგანაც მშვენიერის ეკკლესიის აშენება იკისრა სულ 30 კომლმა აქ მცხოვრებმა გლეხმა. მაგრამ ეს არაფერი. ეკკლესია საკურთხებლად გამზადებული იყო და კურთხევას ელოდნენ, რომ ამ დროს ვიღამაც შურით ცეცხლი წაუკიდა და ღამით დაუწვეს ეკკლესია (საქმის გამოძიება სწარმოებს). რაკი ხალხმა გაიგო, რომ შურითა და მტრობით დაუწვეს ეკკლესია, შემდეგ უფრო ენერგიულად შეუდგნენ ახალის ეკკლესიის შენებასა, რომლის დასრულებამდისაც მუდამ ყარაული ედგათ, რომ კიდევ არავის ემტრო. დღეს, მართალია, ქონებრივად ცოტა დაქვეითებულნი არიან აქაურნი, მაგრამ სამაგიეროდ ზნეობრივად კმაყოფილნი არიან და რაც ჯანი და ღონე აქვთ, შრომობენ, რომ წელში დროზედ გასწორდნენ.

ამასთანავე ულრმესს მადლობას ვუცხადებთ ყველა იმ პატივცემულ კაცებს, რომელმაც ასეთს გასაჭირში შემწეობა აღმოგვიჩინეს და შემოგვწირეს: ბ. კ. გოგიბერიძემ 25 მან., ბ. ჯაბუამ 10 მან., დ. თავბერიძემ 10 მან., ი. სვანიშვილმა 5 მან., კ. ღუმბაძემ 5 მან., კ. უაუზოვმა 3 მან., თ. კალანდაძემ 3 მან., ს. კალანდაძემ 3 მან., ი. ლომთაძემ 3 მან., ქ. ა. ანთიძისამ 3 მან., ზ. თავბერიძემ 3 მან., ალ. კალანდაძემ 3 მან., ს. კალანდაძემ 2 მან. 50 კ., გ. ცხაიძემ 2 მან., დ. ქერქაძემ 2 მან., ე. სიორიძემ 2 მან., თ. მალაზონმა 2 მან., პ. გეგეჭკორმა 2 მან., ქ. ს. მ. ასულმა კალანდაძისამ 2 მან., ნ. თაბერიძემ 2 მან., ა. კალანდაძემ 2 მან., მ. სვანიშვილმა ბარძიმ-ფეშხუმი, ღირებული 50 მან., ი. მახარაძემ 1 ჯვარი, ღირებული 8 მან., გ. კალანდაძემ ნივთი, ღირებული 6 მან. და სულ 158 მან. და 50 კ., გარდა ამისა წვრილი შემოწირულებაც ბევრი სხვა იყო. ყველა ამათ საზოგადოების მონდომილობით დიდს მადლობას ვუცხადებთ.

ო. ქერქაძე, ა. ფოცხიშვილი, ა. ფოცხიშვილი, პ. სეფერთელაძე, ა. სიხარულიძე, ნ. ქერქაძე

სამეგრელო. 15 აპრილიდგან უთავლადე განუწყვეტლივ წვიმები მოდის, რის გამოც ხვნა-თესვა შეჩერებულია. კვლავ ამ დროს აქა-იქ ამოსულს ჯეჯილს საამურად ბიბინი გაჰქონდა, ახლა-კი მუშა-კაცი მუხლ-მოკვეცილი ცას შესცქერის და გამოდარებას მოელის. თუ მაისმა ასე გასტანა, თქვენი

ფელეტონი

პატარა სიმღერები

(1898—1900 წლ.)

ბედი

ნუ ეძლევი სიხარულსა;
ნუ გგონია, ნეტარება
საუკუნოდ გერგო წილად
და აგშორდა მწუხარება!

ბედი დაუდგრომელია:
ვით ზღვის ტალღა და მთის ქარი
დიდხანს არსად არა რჩება,
ხან აქაა, ხან იქ არი!..

დუტუ მეგრელი

მგზავრის წერილები რომიდგან

VI*)

წმიდა პეტრეს ტაძრის შემდეგ მეორე გამოჩენილი და ალმადგენებელ საუკუნოების ძრიელების დამამტკიცებელი პატარა ეკკლესიაა, ეგრედ წოდებული სიკსტინის ეკკლესია. ეს ეკკლესია ჩართულია პაპის სასახლეში, რომელიც მდებარეობს წმინდა პეტრეს ტაძრის გვერდით და შეიცავს 11,000 ოთახს, 20 ეზოს, 200 კიბეს, უშველებელ მუზეუმს, მდიდარ წიგნთ-საცავს, მშვენიერ ბაღს. ამ დარბაზებში მოგროვილია ხელოვნების უმთავრესი ქმნილებანი. პაპმა სიკსტ IV ამ სასახლეშივე 1471 წ. ააშენა პატარა ეკკლესია, რომელმაც მისი სახელი მიიღო და რომლის დასათვალიერებლად ყოველის მხრიდგან მოდის ხალხი. თვით ეკკლესია პატარაა—20 საჟენი სიგრძე აქვს და 6 საჟენი სიგანე, მაგრამ მისი მორთულობა, მხატვრობა და ჩუქურთმა შესანიშნავია; საუკეთესო სურათები მიქელ ანჯელოს დახატულია. სხვა გამოჩენილი მხატვრებიც მუშაობდნენ ამ ეკკლესიაში, როგორც, მაგალითად, ბატიჩელი და როზელი. მიქელ ანჯელომ ოთხი წელიწადი იმუშავა ამ ეკკლესიაში, თავის ხელით მორთო ყოველი სვეტი, გააკეთა ყოველი გამოქანდაკება, შექმნა სხვა-და-სხვა ჩუქურთმა და დახატა ეკკლესიის თაღზედ უშველებელი სურათი, რომელიც წარმოადგენს სასულიერო ისტორიაში მოთხრობილს მსოფლიოს. პირველ შეხედვის დროს მიქელ ანჯელოს ნახატზედ ადამიანის თვალი და გონება მთლად იბნევა ნახატის რთულ და არევ-დარეულ ხასიათის წყალობით, მხოლოდ რამოდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც თვალი ეჩვევა, კაცი არკვევს სურათის იდეას და სტკბება ნახატით. მოხუცებულობის დროს მიქელ ანჯელომ ამ ეკკლესიაშივე დახატა მეორე სურათი „უკანასკნელი მსჯავრება ქრისტესი“, რომელზედაც მკითხველს მაშინ მოვახსენებთ, როდესაც საუბარი მიქელ ანჯელოს შესახებ გვექნება.

როგორც ზემოდ ვთქვით, აღმადგენელ საუკუნეში ხელოვნების ყოველმა დარგმა უმაღლეს განვითარებამდე მიაღწია. ამ დროს განვითარდა როგორც მხატვრობა, ისე ხუროთმოძღვრება და სკულპტურა. ამ დროის ხელოვნების ნაწარმოები მრავალია დღეს რომში, საშვილიშვილოდ დარჩენილი. ყოველ ნახატის აღწერის მაგიერ ჩვენ აქ მხატვართა საზოგადო მიმართულებას ავღნიშნავთ.

რასაკვირველია, უპირველესი ადგილი ამ შემთხვევაში რაფაელსა და მიქელ ანჯელოს უნდა დავუთმოთ. რაფაელი უნდა ჩავთვალოთ ნამდვილ დამაარსებლად, ნამდვილ პაპად რომაელ სკოლისა მხატვრობაში; იმისი განსაკუთრებული ნიჭი ცხადად მხოლოდ მაშინ წარმოუდგება ადამიანს, როდესაც გადაათვალიერებს უმეტეს მის ნაწარმოებს, რომსა და ლონდონში დაცულს. ჩვენ ვგონებთ, რომ გამომხატველი თვისება რაფაელის მხატვრობისა სიმშვენიერე, სინაზე და საერთო ხელოვნური მოწყობილებაა ნახატისა. რაფაელი ცხოვრობდა იმ დროს, როდესაც მხატვრობა ძლიერად იყო განვითარებული რომში; იმან შეაგროვა მხატვრობის ყოველ ნაწილში რაც რამ კარგი და გამოჩენილი იყო, და ყოველივე გადმოგვცა ტილოზედ. რაფაელი სცდილობს თავის ნახატებში ყოველ აზრს იდეალური ხასიათი მისცეს, ყოველი ფორმა გაამშვენიეროს, ყოველი არსება აამაღლოს, თუნდაც დედა აზრი ცხოვრების მწუხარე მოვლენაზედ იყოს დაფუძნებული. ასეთმა მისწრაფებამ, ყოველისფრის გამშვენიერების სურვილმა, რაფაელის ნაწარმოებს ერთგვარობის ხასიათი დაადო, იმისი სურათები ერთი მეორისაგან თითქმის არ განირჩევიან. უმეტესი ნაწილი რაფაელის ნახატებისა, შეკვეთილი პაპის ლეონ X მიერ, წარმოადგენენ სასულიერო ისტორიაში მოთხრობილ ამბებს. რომში დაცულ სურათებს შორის ყველაზედ შესანიშნავია: სურათი წმინდა მარიამისა, ფრესკი წინასწარმეტყველის ისაიასი, ელიოდორა განდევნილი ტაძრიდგან, განთავისუფლება წმინდა პეტრესი, ცეცხლი ქალაქში, ატილა ქალაქის კარებთან... ოთხი უკანასკნელი სუ-

---

*) იხ. „ივერია“ № 86.

მტერია, მუშა-კაცი დაიღუპება. სიცივეებიც საკმაოა. ხალხი თითქმის ისევ საზამთრო ტანისამოსშია.

წელს, სხვა წლებთან შედარებით, არ დარჩენილა თითქმის ოჯახი, რომ აბრეშუმის თესლი არ შეეძინა. ჩვენის მეაბრეშუმე ქალების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, აბრეშუმის პარკს კარგ ფასად გავყიდითო, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მოლოდინი ბევრს სატირლად გაუხდა, რადგანაც ჯერ ერთი, ჩვენს „კულტურისანს“ ბერძნებსა და მათს აგენტებს სოფლებში ბევრი უვარგისი თესლი დაურიგებიათ და მეორეც, ეს გამეტებული სიცივეები პატარა აბრეშუმის ჭიისათვის დიდად მავნებელია.

ამ წვიმიან, ცივი ამინდისა გამო მთელს სამეგრელოს სოფლებში ყოველგან სხვა-და-სხვა მოარულია გავრცელებული. ისე დღე იშვიათია, რომ ადამიანის სიკვდილი არ გაიგონოს კაცმა. ხალხი ამბობს: „წრევანდელისთანა სიკვდილს არ შევსწრებივართო“...

ტელეფონი

ქართული ანბანების ისტორიის მასალად.

როგორც ცნობილია, ბევრნაირი აზრი გამოთქმულა ქართულსა თუ უცხო მწერლობაში ქართული ანბანების შესახებ. მაგრამ მხედრული ანბანია უფრო ძველი თუ ხუცური, ჯერ კიდევ მაინც არ ვიცით და ამის დასამტკიცებლად ჯერ კიდევ ბევრი აზრი გამოითქმის ერთმანერთის წინააღმდეგი, ვიდრე ძველის ქართულის ხელთნაწერების შინაარსის ზედ-მიწევნით მცოდნე მკვლევარი არ გვეყოლება. აი, მაგალითად, რას გვასწავლის „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთ-საცავის ერთი სამ-ფურცლოვანი მხედრული ხელთნაწერი, 1490 ნუმრით აღნიშნული, სახელად „ქართულის ენის ლიტერატურისათვის“, რომლის არც მთხზველი სჩანს, არც გადამწერი.

წერილი გამოუწვევია იმ გარემოებას, რომ მრავალი ქართულის ენის უმეცარი თურმე ამბობდა, რადგანაც ქართული ენა უხმარი, შემოკლებული, ადვილ მიუხდომელი და შეუწყობარია, როგორც მოსწავლეთა, ისე თვით ქართულის წერილების მკითხველთათვისაც და ძველი თხზულებანი და უმეტეს საღმრთო წერილი არ ესმით, ამიტომ არა სათანადო ქართულის ლიტერატურის გავრცელებაო. აი ასეთ ვაჟბატონებს, რომელთა ნატამალი, ჩვენდა სამარცხვინოდ, ეხლაც არა ერთი და ორია, პასუხს აძლევს უცნობი ავტორი და თითქოს დასასკვნელად ამბობს:

„ვალად ვჰრაცხ, ვჰსთქვა რაიმე მცირედ ქართულის ასოებითის წერილისა თვისცა, რომელი შემოიღო მეფემან ფარნავაზ ქართლოსიანმან. ასონი ესე არიან სამგვარნი: პირველსა ეწოდების ასო მთავრული, ესე იგი: შესავალთა წერილთასა, ანუ პატივსაცემელთა სახელებთათვის დასასხმელნი დიდნი ასონი; მეორესა უწოდა მგრგლოვანი, თუცა ესენი იგივე ასო მთავრულნი ასონი არიან, გარნა მოგონილნი სახმარად შემოკლებით წარწერისათვის, ვითარცა დღეს იხედვებიან მრავალთა შენობათაზედან დაწერილნი, ესრეთ ყოვლის სიტყვისა თავის პირველი ასო და ესრეთივე მისვე სიტყვის დასასრულისა დასმითა ზემორე ქარაგმისათა. ხოლო მესამესა საეკკლესიო ანუ ხუცური; და ვინაიდგან დროსა ფარნავაზისასა არ იყო არცა ეკკლესია და არცა ხუცესნი, ამას ეწოდებოდა კობრჩხილოანი, რომელ არს წმახვნით (გრეხით) წერა. ასონი ესე მოიღო ფარნავაზ, ვითარცა ცხადად იხილვების ბერძნულის ასოთაგან, გარნა რამდენთამე ნაკვეთთა სხვაობითა. ხოლო ქართველთა სიადვილისათვის წერისა, მოიპოვეს სხვაცა წერაი, რომელსა უწოდეს მხედრული, ანუ სამხედრო. წერა ანუ ასონი ამისანი შეადგინეს ასო მთავრულისა და საეკკლესიოს ანუ ხუცურის ასოთაგან, რომლისა განმარტებას და ცხადად დანაკვეთებას პირველისაგან მეორისსა განვაცხადებ შემდგომსა ჟამსა“.

ასეა მიმალული საჭირო ცნობები ძველ ხელნაწერებში და ყოვლად შესაძლებელია ამ უცნობ ავტორსაც განეგრძო შრომა დაპირებისამებრ და ჩვენ-კი ბნელში ვსხედვართ, სინათლეს დანატრებულნი.

პეტრე მირიანიშვილი

◆

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

„С.-Петерб. Вѣдом.“-ში დაბეჭდილია საინტერესო წერილი გაზეთის „Орлов. Вѣст.“-ის რედაქციისა, რომელიც მშვენივრად ახასიათებს პროვინციის ჟურნალ-გაზეთობის მდგომარეობას. რედაქცია სჩივის, რომ ჩვენ გაზეთს არ შეუძლიან შეეხოს მრავალ საჭირ-ბოროტო საგანს, არ შეუძლიან ილაპარაკოს, მაგალითად, ისეთ საზოგადო დაწესებულების საქმეების შესახებ, როგორიც ქალაქის თვითმმართველობაო. ორიოლის ქალაქის გამგეთ საქმეები ძალიან ცუდად მიჰყავდათ თურმე, ადგილობრივ გაზეთს რამდენჯერმე განუზრახავს გამოლაპარაკება, ხმის ამოღება, მაგრამ ნება არ მიუციათ. ამ ჟამად ქალაქში საქალაქო არჩევანებისთვის ემზადებიან.

„ბევრის რამის გამორკვევა შეგვეძლო ამ არჩევანების გამო, სწერს რედაქცია, მაგრამ ნება არ მოგვცეს. ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო არამც თუ არ შეგვიძლიან რომელისამე საგნის გამორკვევა, არ შეგვიძლიან აღვნიშნოთ გამგეობის მიერ შეკვეთილ ნავების უვარგისობა. ნება არ მოგვცეს დაგვებეჭდა, რომ მდინარის ნაპირზედ ორის ძაღლის ლეში ეგდო... არ შეგვიძლიან ასეთი წინადადება დავწეროთ: „კარგი იქმნება, გამგეობა დაუყოვნებლივ შეუდგებოდეს მდინარის ნაპირის გაწმენდას“ და სხვა. იძულებული ვართ გავჩუმდეთ და ხმა არ ამოვიღოთ არჩევანების წესისა, ქუჩების წმენდისა და სხვა საქმეების შესახებ. იმის უფლებაც-კი არა გვაქვს, რომ 1892 წლის საქალაქო დებულებიდგან რამდენიმე მუხლი ამოვწეროთ“...

გაზეთს სხვაც ბევრი რამ მოჰყავს ისეთი, რის ბეჭდვის ნებაც არ მიუციათ.

◆

უცხოეთი

ინგლის-ტრანსვაალის ომი.

ლორდ კიტჩენერთან მშვიდობიან მოლაპარაკების შესახებ „Natal Mercury“-ში ბოტას შემდეგი წერილი გამოაქვეყნა: „ყველასათვის ცხადია, რომ ინგლისელების ერთად-ერთს აზრს აფრიკანდერების ამოწყვეტა შეადგენს. ჩვენის ოფიცრებისა და არჩეულ კაცებისაგან შემდგარმა საბჭომ ერთხმად გარდასწყვიტა ჩვენმა ჯარმა ინგლისელების მიერ შემოძლეულს ათასს გირვანქა სტერლინგს ზიზღით შეჰხედოსო“. დასასრულ ბოტა ურჩევს ბურებს დამოუკიდებლობისათვის უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლონ და გამოსთქვამს იმედს, რომ დაბოლოს თავისუფლებას უთუოდ მოიპოვებენ.

— როგორც „Daily Chronicle“ გვარწმუნებს, ქ-ნი ბოტა თავისს ქმართანა და ლორდ კიტჩენერთან მისვლა-მოსვლას სულ მთლად მოუღლია. ქ-ნს ბოტას გარდაწყვეტილი თურმე აქვს ახლა კრიუგერთან წავიდეს და პირადად უამბოს, თუ ბურები ამ ჟამად რა გაჭირვებაში არიან, ბავშვები და ქალები ბურებისა რას ითმენენ, როგორ იტანჯებიან. ქ-ნს ბოტას განზრახვა აქვს სთხოვოს კრიუგერს, რომ ამან მაინც არის როგორმე დაიყოლიოს და ბრძოლაზედ ხელი აღებინოს. ქ-ნი ბოტა ლორენცო-მარკეზში ჩაჯდება გემში; ქ-ნს ბოტას თან პრეზიდენტის კრიუგერის მეუღლის წერილი მიაქვს კრიუგერთან. ინგლისელები დარწმუნებულნი არიან, რომ ბრძოლის მოსასპობად ქ-ნმა ბოტამ ყოველივე ღონისძიება იხმარა და ამის გამო დიდის პატივით ეპყრობიან და ნებას აძლევენ ყველგან იმოგზაუროს. ქ-ნი ბოტა ევროპასა, ინგლისსა და ირლანდიაში აპირებს წასვლას, სადაც მას ნათესავები ჰყავს.

— „Daily Mail“-ში დაბეჭდილია წერილი შემდეგის სათაურით: „ომი რად გრძელდება?“ რომელშიაც მოყვანილია ფრიად საყურადღებო წერილი ერთის ინგლისელ ჯარის კაცისა, რომელსაც სამხრეთ აფრიკის საინტენდანტო ნაწილში მთელი 18 თვე უმსახურნია. სხვათა შორის, იგი სწერს:

ინგლისელმა ოფიცრებმა ამ ომიდგან ნამდვილი „პიკნიკი“ შექმნეს. ხშირად ისეთს რასმესა სჩადიან, რომ მათ მაგიერად ჩვენზე გვრცხვენიან. ოფიცრებს ყოველისფრის ნება ეძლევათ, ჯარის-კაცები-კი გაჭირვებულნი არიან, ყურადღებას არავინ გვაქცევს. ჩვენს ოფიცერს კაპიტანს ა. (ძალიან ახალგაზრდა და მასთან ცოტა სულელიც არის, სამსახურში ახლად არის გამწესებული) აქვს ურემი, რომელშიაც 16 ხარი უბია, ერთიც „Trolloy“ (რვა ჯორი უბია) და კაპის „კალიასკა“ (ორი ჯორი უბია), გარდა ამისა, 12 მოსამსახურე ჯარის-კაცი ჰყავს და 7 ახალგაზრდა ლაქია, რომელთაგანაც თვითოეული თვეში 4 გირვანქასა და 10 შილინგს იღებს. კაპიტანს ბ. იმდენივე მოსამსახურე ჰყავს, ურმები და ეტლებიც, მხოლოდ არა აქვს „კალიასკა“. ამ პირობებში ვისთვის რა საკვირველი უნდა იყოს, რომ ჩვენმა ხარჯებმა და გარდასახადებმა ერთი ათად და მეტად იმატოსო.

◆

ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები.

ერთის გაზეთის ლივერპულელი კორესპონდენტი ისეთს მოვლენას გადმოგვცემს, რომლის მაგვარიც დღემდე არავის შეუმჩნევია. ერთი ფრანგი ზღვაოსანი, სახელად ჟან მაფურლინი, ამ თოთხმეტის წლის წინად გემიდგან ზღვაში ჩავარდნილა. წყალქვეშ ზღვაოსანი მთელი ათი წუთი ყოფილა. როდესაც ცოცხალ-მკვდარი ამოუყვანიათ და მოუსულიერებიათ, უნახავთ, რომ საწყალს ენა წართმეოდა და სრულიად დამუნჯებულიყო. რადგანაც ზღვაზედ სამსახური აღარ შეეძლო, მაფურლინი ერთ მებაღესთან შესულა მოსამსახურედ. საჭიროა მოვიხსენიოთ, რომ მაფურლინს დამუნჯებამდე, თავის სამშობლო ენის ფრანგულის გარდა, კარგად სცოდნია იტალიანური და პორტუგალური ენა. ამას გარდა სულ მცირედ ინგლისურიც ესმოდა თურმე. ამას წინად, თოთხმეტის წლის შემდეგ დამუნჯებიდგან, მაფურლინის ზარბაზნის სროლის ხმა გაუგონია. ზარბაზანი მახლობლად გაუსროლიათ და მაფურლინს ძალიან შეჰშინებია და ამ შიშის წყალობით სრულიად მოულოდნელად ენა ამოუდგამს. საკვირველი ის არის, რომ მაფურლინს მშვენივრად დაუწყია ინგლისურად ლაპარაკი, თუმცა წინად ამ ენაზედ მხოლოდ რამდენიმე სიტყვა იცოდა, და სრულიად დაჰვიწყებია ფრანგული, იტალიანური და პორტუგალური. ამისი მიზეზი უთუოდ ის იქმნება, რომ იქ, სადაც მაფურლინი მსახურებდა, მხოლოდ ინგლისურს ენაზედ ლაპარაკობდნენ და თოთხმეტის წლის განმავლობაში ამ ენის გარდა სხვა ენაზედ ლაპარაკი არ გაუგონია.

⁂

გვიანის მთებში სცხოვრობს თურმე ერთ გვარი ფრინველი, რომელსაც ესპანელნი „ფრინველ-ზარს“ ეძახიან. ამ ფრინვლის ხმა საშინლადა ჰგავს პატარა ვერცხლის ზარის რეკას. კაცი ვერ გაარჩევს თურმე, როდესაც ეს ფრინველი გალობს, ზარისა თუ ფრინვლის ხმაა. ეს ფრინველი დილით, შუადღისას და საღამოთი ჰგალობს ხოლმე.

⁂

ხერსონში ამას წინად მოუყვანიათ 12 წლის გიმნაზიელი ალექსანდრე გრიგოროვიჩი. ამ გიმნაზიელს მაინ-რიდის რომანები წაუკითხნია და იმის გმირებს ისე გაუტაცნიათ, რომ იმათსავით მოგზაურობა განუზრახავს. ახალ-გაზდა მოგზაური უგროშოდ ჩამჯდარა გემში და ოდესაში ასულა. იქიდგან აფრიკასა, ავსტრალიასა და ამერიკაში აპირობდა თურმე წასვლას, მაგრამ მალე მოჰშივნია და ქუჩაში დაუწყვია ხეტიალი. ბოლოს, რომ ვერაფერი გაუწყვია და შიმშილს-კი უფრო და უფრო შეუწუხებია, ბავშვი ნავთ-სადგურში ერთ გემის უფროსს შეხვეწნია, უკან ხერსონშივე წამიყვანეო. გემის უფროსს სიამოვნებით აუსრულებია

რათი ყველაზედ მკაფიო გამომხატველად მიგვაჩნია როგორც რაფაელის ნიჭის სიძლიერისა, ისე მისის ნაკლულევანებისა. თუმცა რაფაელი არ აოცებს ერთბაშად ადამიანს თავისის ორიგინალურის თვისებით, მაგრამ ნახატის საერთო მოწყობილება, მისი მარტივად გამოანგარიშებული ხაზები და მშვენიერი ფორმა ყოველთვის გასაკვირველ რამედ დარჩება.

მეორე გამოჩენილი მხატვარი აღმადგენელ საუკუნოების და პაპების მეფობის დროს იყო მიქელ ანჯელო (1475—1564), რომლის ნაწარმოები აკვირვებს ყოველს რომში ნამყოფს ადამიანს, რადგან მან გამოიჩინა ნიჭი ყოველ ხელოვნების ნაწილში—მხატვრობაში, სკულპტურაში და ხუროთ-მოძღვრებაში. მიქელ ანჯელოს ყოველ ნაწარმოებში სჩანს თავისუფლება მოსაზრებისა, სიფართოვე აზრისა, ახალ გვარი ქმნილება, უშიშრობა თავისუფლებისა ხელოვნებაში, სიმძლავრე, სიმკვიდრე, საშინელი მხნეობა, წარმოდგენა იდეისა ცხადად და ნათლად, როგორც-კი ადამიანს შეუძლიან წარმოიდგინოს სინამდვილეში. ყოველს ამ თვისებას დაუმატოთ სიმშვენიერე და მაშინ ცხადლივ წარმოგვიდგება უმაღლესი გენიოსობა მიქელ ანჯელოსი. მიქელ ანჯელოს, როგორც დიდის ნიჭის პატრონს და თვით ჩახედულ არსებას უყვარდა ნამდვილი ხელოვნება და არა თითხნა ხალხთა გემოვნების შესაფერად. ბევრნი ემდურებოდნენ მიქელ ანჯელოს რეალიზმისათვის, მეტადრე პაპის მახლობელნი, მაგრამ თვით პაპები იულ II, ლეონ X, კლემანს III, პავლე III არ იშორებდნენ, რადგან იგი შეადგენდა მათს დიდებას. თვით მიქელ ანჯელომ ბევრი ვაივაგლახი გამოიარა, ბევრჯერ ძალით მოყვანილ იყო რომში, მაგრამ არ იტეხდა გულს და მისდევა თავისს შრომას. რაფაელ და მიქელ ანჯელოს შორის ხელოვნების ნიადაგზედ ასტყდა კამათი, მაგრამ ბოლოს რაფაელის შეგირდებმა ველარ გაუძლეს მიქელ ანჯელოს გავლენას და იმას დაუწყეს მიბაძვა. თვით რაფაელი სწერდა: „მე მადლობელი ვარ მიქელ ანჯელოსი, რომ ღირსად სცნო ჩემი თავი მასთან საბრძოლველად“. როდესაც პაპიმ იულმა II შეუკვეთა მიქელ ანჯელოს გაკეთება სიკსტინის ეკკლესიის თაღისა, იგი ჩაიკეტა ოთხის წლით და არავინ არ მიიკარა, ვიდრე თავისს ხელით არ აასრულა ყოველი მუშაობა. აი რას სწერს მიქელ ანჯელო ამ დროს თავისს ძმას: არავის ნახვა არ მინდა, საშინელ სულისა და ტანის მოღალვასა ვგრძნობ მუშაობისაგან, მე მსურს მხოლოდ ჩემს თავთან საუბარიო, ამისათვის არავითარი შველა არ შემიძლიან შენი“.

ასეთისავე გულწრფელობით და მხნეობით ჰმუშაობდა მიქელ ანჯელო, როდესაც ჰხატავდა „უკანასკნელს განსამართლებას ქრისტესას“; ეს სურათი, რომელიც იმყოფება სიკსტინის ეკკლესიაში, მართლაც აოცებს ადამიანს თავისის სიძლიერითა და ტიპების სიმძლავრით. ხშირად ადარებენ ამ სურათს დანტეს ჯოჯოხეთს, რაიცა სიმართლეს შეადგენს, რადგან თვით მიქელ ანჯელოს ძლიერ უყვარდა დანტე, ყოველთვის კითხულობდა და ამზადებდა კიდეც ძეგლს მისის საფლავისათვის. მიქელ ანჯელოს ნიჭი ფართოდ არის გაშლილი ამ სურათზედ, რომელიც ამტკიცებს მის ცოდნას ადამიანის მისწრაფებისას და ამასთანავე იმას, თუ სახის რანაირი მეტყველება უდრის ამ მისწრაფებას, ცოდნას ადამიანის სხეულის ანატომიისას და იმას, თუ ტანის რა მიმოხვრა უდრის მის შიგნეულ ფსიხოლოგიურ მდგომარეობას, ცოდნას ტიპების ამორჩევისასა და თავიანთ ადგილას დაყენებისას. სხვა გამოჩენილ მიქელ ანჯელოს ნაწარმოებთა შორის ჩვენ დავასახელებთ: ცოდვილთა დაცემა ანგელოსებისა, ქანდაკება მოსესი და იესო ქრისტესი.

გარდაიცვალა რაფაელი, გარდაიცვალა მიქელ ანჯელო და მათთან ერთად გარდაიცვალა რომის ხელოვნებაც. შეგირდები ამ ორ გამოჩენილ მხატვრისა გადავიდნენ სხვა ქალაქებში და გადაიტანეს, რაც რამ ჰქონდათ შესწავლილი თავიანთ მასწავლებლებისაგან. პაპის პოლიტიკური ძალაც ნელ-ნელა სუსტდებოდა, რიცხვი რომაელებისა თანდათან მცირდებოდა, ასე რომ თვით რომი გადიქცა დიდ მუზეუმად, სადაც მეცნიერნი მიდიოდნენ ძველ რომაელების ნაშთების და ცხოვრების შესასწავლად, მხატვრები და ინჟენრები აღმადგენელ საუკუნეების ხელოვნების დასათვალიერებლად, პოეტნი ძველ კლასიკურ ცივილიზაციით ასაღფრთოვანებლად და მორწმუნე კათოლიკენი სარწმუნოებრივ გრძნობით დასატკბობად და პაპის სანახავად.

ამ გვარად, უფერულად მიდიოდა რომის ცხოვრება, ხელოვნება გადაგვარებული იყო, ლიტერატურა მივიწყებული, მეცნიერება დასუსტებული იმ დრომდე, ვიდრე ეს ქალაქი ახალ ცივილიზაციის გზას არ შეუდგა.

გიორგი დეკანოზიშვილი

„მოგზაურის“ თხოვნა, წაუყვანია ხერსონში და დედ-მამისათვის ჩაუბარებია.

⁂

იაპონიის სავაჭრო ფლოტი წლითი-წლობით იზრდება. სავაჭრო ნავოსნობას იაპონიაში სულ 25 წელიწადია, რაც ხელი მიჰყვეს. წინად იაპონელთა პატარა და უშნო გემები იაპონიისავე ნავთ-სადგურებში დაცურავდნენ და შორს არსად მიდიოდნენ. მხოლოდ მე-80 წლების ნახევარში დაიწყეს იაპონიის გემებმა ჩინეთსა და კორეიაში სიარული. მე-80 წლების დასასრულს იაპონელებმა ამერიკასა და ავსტრალიაში გაიკვლიეს გზა, ცოტა ხანს შემდეგ ევროპაშიაც. უკანასკნელ ათ წელიწადს გულ-მოდგინედ შეუდგნენ გემების შენებას იაპონიაში და დღეს იაპონიას ასეთი ფლოტი ჰყავს, რომლის წყალობითაც დედა-მიწის ყველა კუთხესთან კავშირი და მიმოსვლა აქვს. აღარაა ისეთი ნავთ-სადგურები, სადაც იაპონიის სავაჭრო გემი არ დადიოდეს. 1877 წელს იაპონელთა სავაჭრო ფლოტი 258 გემისაგან შესდგებოდა, ათის წლის შემდეგ —1,284 გემისა, ხოლო 1898 წელს 3,044 გემისაგან. უკანასკნელად შეკრებილ სტატისტიკურის ცნობებით, იაპონიას ეხლა სულ 4,090 სავაჭრო გემი აქვს. მალე იაპონიის სავაჭრო ფლოტი დიდ საზღვაო სახელმწიფოთა ფლოტს არ ჩამოუვარდება.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 მაისი

აბაცია. ნაშუადღევს საბერძნეთის მეფე კონცერტს დაესწრო და შვიდს საათზედ დაბრუნდა „პსარაზედ“. მეფე კარლოსმა საბერძნეთის მეფე ნავთსადგურამდე მიაცილა. 8 საათზედ მეფე ხელახლა წავიდა რუმინიის მეფე-დედოფალთან სასადილოდ.

ბუქარესტი. „რუმინიის სააგენტო“ აცხადებს, რომ ყოვლისავე სიმართლეს მოკლებულია ერთის გაზეთის მიერ გავრცელებული ხმა, ვითომც ქურქევში მემკვიდრე პრინცის მოკვლა განეძრახოთ. უარსა ჰყოფენ ოპოზიციის გაზეთებში დაბეჭდილ ხმებს იმის შესახებ, ვითომც მთავრობას ახალის გადასახადის პროექტის შედგენა განეძრახოს.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. მიღებულ იქმნა ბროდრიკის რეზოლიუცია იმის შესახებ, რომ პალატა თანახმაა მთავრობის სამხედრო პროექტისა.

ბელგრადი. სარწმუნო წყაროდგან იუწყებიან, გუშინდელმა ახალმა გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ დედოფალი ფეხმძიმობისაგან ჯერ ვერ განთავისუფლდება; ეს შემთხვევა უცნაურია და შესაძლებელია, რომ დედოფალი ფეხმძიმობის მეოთხე თვეში იყოს. რუსი მკურნალები, რომელთაც შესაფერს ოქმს მოაწერეს ხელი, დღეს წავიდნენ; ვენელი მკურნალი ბერტგეიმი და ბუქარესტელი პროფესორი კანტაკუზენი კი ხელახლა იქმნენ დაბარებულნი სათათბიროდ.

პეკინი. ინგლისის სამხედრო მოხელენი განაგრძობენ რკინის გზის შტოს გაყვანას დუნჯოუმდე. ეს შტო დიდ სამსახურს გასწევს ჯარის წასვლის დროს, რადგანაც მეორე კარგი შტო იქმნება, ზღვისაკენ მიმავალი. უფრო სასარგებლო იგი ვაჭრობისათვის იქმნება, რამწამს არეულობანი ჩაქრება ჩრდილოეთით.

პეკინი. პაოტინფუსა და ჯენდინფუს სამხრეთით უწესოება ატყდა. ამ ოლქს აქამდე ფრანგები ადევნებდნენ თვალ-ყურს, ფრანგების წასვლის შემდეგ-კი იგი ჩინელებს გადაეცა. პირველ აღმოსავლეთის რაზმის პირველი პატალიონი მაიორის პრეგმის უფროსობით ყოველ შემთხვევისათვის მოემზადა სალაშქროდ.

პრეტორია. გამოქვეყნებულის პროკლამაციით არსდება იოჰანესბურგში დროებით საქალაქო გამგეობა, რომელიც გუბერნატორის მიერ დანიშნულ ქალაქის საბჭოსაგან უნდა შესდგეს. საბჭო დაუყოვნებლივ შეუდგება მოქმედებას.

5 მაისი.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ-ინება და ბრძანა სახელმწიფო საბჭოს არსებობიდგან ასის წლის შესრულების სადღესასწაულოდ საბჭოს საგანგებო კრება მისის უდიდებულესობის თავმჯდომარეობით მოხდეს 7 მაისს. სხდომის წინ, ნაშუადღევის 1-ლ საათზედ, მთავარ მღვდლის იამნიშევის-მიერ გარდახდილ იქნება პარაკლისი მარიინის სასახლეში.

ლოდზი. ლენჩიცში, ლოდზის მახლობლად, ოლქის სასამართლოს სესიამ განიხილა მემამულის იოსებ ლუბინსკის საქმე. ლუბინსკის ჰბრალდებოდა ცოლის მოწამლვა თავისთან მცხოვრებ ქალის იუზეფ გოზდიკის დახმარებით. სასამართლომ გარდაუწყვიტა ლუბინსკის 12 წლით კატორღაში გაგზავნა და ყოველისავე უფლების ჩამორთმევა, ხოლო გოზდიკს —კატორღაში გაგზავნა 10 წლით.

ასტრახანი. როგორც გამოირკვა, სოფ. კაპუსტინ-იარში ცეცხლისაგან დაიწვა ას-ოცი სახლი, დაზღვეული 14,800 მანეთად. ზარალი 53,600 მან.; მიზეზი—უპატრონო ბავშვების ცელქობა ყოფილა. კომიტეტი შესდგა დაზარალებულთა სასარგებლოდ.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. კრანბორნი ამტკიცებდა, რომ ხელშეკრულობანი ოსმალეთში უცხო ქვეყნების ფოსტამთა დაწესების შესახებ უკვე დიდი ხანია მოქმედებენო. ეს ფოსტამტები იმიტომ შეიქმნა საჭირო, რომ ოსმალეთს სამაგიერო დაწესებულება არა ჰქონდა. ეჭვს გარეშეა, რომ ამის გამო სახელმწიფოს შემოსავალს აკლდებოდა, მაგრამ პირობა იქმნა დადებული, რომ ის ნივთები, რომლებზედაც ბაჟია გაწერილი, არ უნდა ეზიდა ინგლისის ფოსტასაო.

დურბანი. საკანონმდებლო კორპუსის წევრმა ბრუნერმა მიჰმართა „Natal Mer.“-ს წერილით, რომელშიაც ნათქვამია, რომ უმაღლეს სამხედრო მოხელეთა ცნობით საშუალებაა ნახმარი, რათა ადგილობრივი მცხოვრებნი უკვე დასუსტებულს მტერს მიუსიონ და ნება მისცენ მათ ძარცვა-გლეჯისაო. ინგლისის ჯარის აფიცრებმა მისწერეს ზულუსებს, შეესივნენ ფრეიგეიდის ოლქს; იმათ წაართვეს ბურებს და გადასცეს პოლკ. ბოტტომბის 1000 სული საქონელი; პოლკოვნიკმა ნება დართო ამ საქონლის 10% ზულუსებს თავიანთთვის დაეტოვებინათ. ერთი ბური მძიმედ დასჭრეს ზულუსებმა. ყველა იმის წყალობით, დინიზულოსთა და უზიპუბისთა ტომები ხელ ახლა მებრძოლნი შეიქმნენ. ბრუნნერმა გამოაქვეყნა თავისი პროტესტი, რომელიც მან დეპეშით მინისტრ-პრეზიდენტს აცნობა, და პასუხი ამ უკანასკნელისა, რომელიც ატყობინებს, რომ სამხედრო მოხელეთა ამ ყოფა ქცევის გამო პროტესტი გავგზავნე, მაგრამ ვფიქრობ, რომ ბოტტომბიმ ინსტრუქციას გადაუხვიაო.

ბელგრადი. როგორც სარწმუნო წყაროებიდგან იუწყებიან, დედოფლის დრაგასთვის მოწვეულ უცხოქვეყნელთა მკურნალების გამოკვლევას შემდეგი აღმოუჩენია: ამ ჟამად დედოფალი დრაგა იმდენად არ არის ფეხ-მძიმედ, რომ მშობიარობა მოახლოვებული იყოს, და თვით ფეხ-მძიმობაც არა სჩანს ჯერ-ჯერობით ნათლად. თუმცა ფრანგი მკურნალი კულე 1900 წლის 8 სექტემბერს ამტკიცებდა, რომ დედოფალი დრაგა ოთხიხუთი კვირის ფეხ-მძიმეაო, მაგრამ, როგორც შემდეგ მკურნალთა ოქმში ნათქვამი, კულეს აზრი აიხსნება იმით, რომ ყოველი მოვლენა, რომელიც მაშინ დედოფალს შეამჩნიეს, ფეხ-მძიმობის თავმდები იყო და საკმაო საბუთს წარმოადგენდა. დედოფალი და მაბლობელნი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ დრაგა ფეხმძიმეაა. მკურნალების აზრით, შესაძლებელია ფეხმძიმობა დაიწყო მაშინ, მაგრამ შემდეგ შესწყდა. დასასრულ მკურნალენი ამტკიცებენ, რომ ეხლანდელი მდგომარეობა დედოფლისა საშიშს არას წარმოადგენსო.

ლონდონი. საღამოთი სიტიში ხმა გავრცელდა, რომ ჩინეთის სესხი,—60 მილიონი გირვანქა სტერლინგი,—მართლაც ნება-დართულია და გამოცემულიც იქმნება, რაწამსაც ჩინეთის პოლიტიკური მდგომარეობა გაწეს-რიგდებაო.

ლონდონი. მეფემ გამოაცხადა სურვილი მიიღოს თავისთან გუბერნატორი მილნერი სამხრეთ-აფრიკიდგან მოსვლისათანავე.

წერილი რედაქციის მიმართ.

ოცდა ათი წელიწადი შესრულდა მას აქეთ, რაც ჩემი კომედია „პეპო“ პირველად დაიდგა სცენაზედ. ქართულმა და სომხურმა თეატრებმა ეს იდღესასწაულეს ამ დღეებში. ამის გამო მივიღე მრავალი მილოცვა როგორც კერძო კაცთ, აგრეთვე საზოგადოებათა და დაწესებულებათაგან. მილოცავდნენ ტფილისიდამ, რუსეთის საბრძანებლის მრავალ კუთხეებიდამ და თვით საზღვარგარეთიდამაც.

მე ვშრომობდი ორი ჩემის თანაბრად ძვირფასის ერის, ქართულისა და სომხურის სცენისათვის. ვცდილობდი გამომეხატა ჩემს ნაწერებში უმაღლესი საკაცობრიო გრძნობანი და აზრნი. ეს დაფასდა და ამისმა დაფასებამ აღძრა უნეტარესი გრძნობა ჩემს გულში და უღრმესი მადლობა მათდა მიმართ, რომელთაც მომმართეს მე მილოცვით, სიტყვიერად, წიგნებით, სიტყვების წარმოთქმით, შესხმით, დეპეშებითა და ადრესებით.

ამგვარივე უღრმესი მადლობა აღიძრა ჩემს გულში იმ პირთადმი, რომელთაც გამართეს ჩემდა საპატიოდ სამი დღის განმავლობაში დღესასწაული: სახალხო, ქართველთა თავად-აზნაურთა და არტისტიულ წრის თეატრებში.

ნება მიბოძეთ, მოწყალეო ხელმწიფევ, თქვენის გაზეთის შემწეობით უგულითადესი მადლობა ვუძღვნა და უსაზღვრო პატივისცემა გამოვუცხადო იმათ, ვინც მე ამ საქმეში ამგვარი დიდი ყურადღება აღმომიჩინა.

გაბრიელ სუნდუკიანცი

განცხადებანი

მამა და ძმა განსვენებულის სტუდენტის ს. ს. სახოკიასი უღრმეს მადლობას სწირავენ ყველას, ვინც-კი მონაწილეობა მიიღო მათ მწუხარებაში განსვენებულის დასაფლავებაზე დასწრებით ან სასამძიმრო დეპეშებისა და ბარათების გამოგზავნით.

განვიზრახე რა გამოვცე კრებული ამ სათაურით: „საქართველო რუსეთის მწერალთა, პოეტთა და პუბლიცისტთა ნაწარმოებით“, ვთხოვ იმათ, ვინც ამ ჩემ განზრახვას თანაუგრძნობენ, აღნიშნონ რუსეთის მწერალთა ის წერილები საქართველოს შესახებ, რომელთა ამ კრებულში მოთავსებაც სასურველია.

როტმისტრი ბორის ესაძე.

კუკია, კოჩუბეის ქ., საკ. სახლი, № 14.

(3—უ—1)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ქალაქ ტფილისში, ცხენთა იარმუკათა დებულების თანახმად, რომელიც დამტკიცებულია კავკასიის მთავარმართებლის მიერ, ამ წლის 5 მაისს **დაიწყება ცხენთა იარმუკა**, რომელიც გაგრძელდება 18 მაისამდის. იარმუკისათვის ადგილია დათმობილი დიდუბეში, კარგის ჯიშის ცხენების მომშენებელ კავკასიის საზოგადოების იპოდრამზედ. (3—ნ.—3)

ანდრეევსკის ქუჩაზედ, № 23

ისყიდება საწვრიმალო დუქანი

საქონელი თავისის გამართულობითა და მოწყობილობით. ფასი 350 მანეთამდეა. მსურველს შეუძლიან მოელაპარაკოს დუქანში პატრონს. (5—112—4)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი წიგნები:

	კაპ.
ქამუშაძის გაჭირვება დ. კლდიაშვილისა	50
მცხეთელი ანრია	10
ი. გოგებაშვილი, ზ. ჭიჭინაძისა	15
ლექსები გაბრუაშვილისა . .	25
ბუნების საოცარი მოვლენანი .	15
სახუმარო გასართობი . . .	10
კოპერნიკოდამ დარვინამდე .	10

ძალიან ხშირად უბედურ შემთხვევების შემდეგ დამავებულნი და დაზარალებულნი სწუხან, რომ თავისს დროზედ ასეთ შემთხვევისათვის საჭირო ღონისძიებანი არ მიიღეს.

ქონებრივ ზარალისა და ყოველ გვარ უბედურების თავიდგან ასაცილებლად, ვურჩევთ უბედურ შემთხვევათაგან დაზღვევას დამზღვევ საზოგადოებას „როსსიაში“. ყოველ წლიურის შესატანით 20-დგან 50 მანეთამდე, ხელობისა და საქმის მიხედვით, შეიძლება დაზღვევა 10,000 მანეთისა იმ შემთხვევისათვის, თუ მოკვდა, და 10,000 მანეთისა, თუ დაშავდა.

დაზღვევა შეიძლება 1000 დგან 200,000 მანეთამდე.

1900 წელს დამზღვევმა საზოგადოებამ იმ დაზღვეულთა დასაჯილდოებლად, რომელთაც უბედურება შეემთხვათ, გასცა 1,200,000 მანეთი.

დაწვრილებით ცნობების გაგება შეიძლება გამგეობაში (პეტერბურგი, დიდი მორსკაია, № 37), საზოგადოების განყოფილებაში ქ. ტფილისს (სერგიევის ქუჩა, № 6) და აგენტებთან იმპერიის ყველა ქალაქებში. (4—122—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 5-го Мая 1901 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხ.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.